ბრძანება:**ბ12.122218918**

თარიღი:**08/07/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ახალციხის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას (ათეა) შორის 2022 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, სოციალურ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელის 2022 წლის 07 ივლისის N 12-122218885 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეიქმნას „ახალციხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი“ შემდეგი შემადგენლობით:

ა) ინგა დიაკონოვი - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ) თამილა ადვაძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ქეთევან ჯვარიძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) თამარი სამსონიძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) მაკა ზედგინიძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) გელა ლომიძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) ლევან მიქაბერიძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თ) შიო ზედგინიძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მ.შ.:
1.1 შშმ სტატუსის მქონე;
1.2 არ მიუმართავს სტატუსის მისაღებად, მაგრამ სავარაუდოდ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;
1.3 განვითარების სირთულის მქონე ბავშვი;

2. მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, მ.შ.:
2.1 ობოლი ბავშვი;
2.2 მარჩენალდაკარგული ბავშვი;
2.3 მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი;

3. სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი;

4. ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

5. ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, მ.შ.:
5.1 სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი;
5.2 სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი;
5.3 ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი;

3. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში დამატებით წევრად და სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი, ექსპერტი ან კონსულტანტი;

4. დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად;

5. მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩასატარებლად დამტკიცდეს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის - „ათეა“-ის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი, დანართი N2-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს საჭიროებათა კვლევის კალენდარი დანართი N3-ის შესაბამისად;

7. მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვროს მიმდინარე წლის 9 სექტემბერი;

8. საჭიროებათა კვლევის პროცესში პერონალურ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №60ა).

ირაკლი ლაზარაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი